



# ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



დადგენილება:დ-31.31222421

თარიღი:30/08/2022

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

### დადგენილება №33

2022 წლის 29 აგვისტო

### ქ. ლანჩხუთი

### „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** შევიდეს ცვლილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში (გებგვერდი 26.11.2021, სარ. კოდი:190020020.35.112.016464) და 1-ლი,მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-13, მე-15, მე-16, მე-18, 20-ე მუხლები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციის შესაბამისად.

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი



**თავი I. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები**  
**მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი**

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>I. შემოსავლები</b>	<b>24,603.3</b>	<b>22,623.5</b>	<b>13,363.8</b>	<b>9,259.8</b>	<b>25,762.8</b>	<b>14,385.6</b>	<b>11,377.2</b>
გადასახადები	8,062.0	9,778.5	9,778.5	-	11,295.0	11,295.0	-
გრანტები	12,538.0	9,479.8	220.0	9,259.8	11,722.2	345.0	11,377.2
სხვა შემოსავლები	4,003.2	3,365.3	3,365.3	-	2,745.6	2,745.6	-
<b>II. ხარჯები</b>	<b>11,365.3</b>	<b>12,678.0</b>	<b>11,555.9</b>	<b>1,122.0</b>	<b>16,373.7</b>	<b>14,783.6</b>	<b>1,590.1</b>
შრომის ანაზღაურება	4,834.2	5,127.4	5,127.4	-	6,369.8	6,369.8	-
საკონელი და მომსახურება	4,270.0	5,457.1	5,003.2	453.9	6,702.1	6,158.9	543.2
პროცენტი	37.5	30.0	30.0	-	31.9	31.9	-
სუბსიდიები	443.1	553.3	553.3	-	831.5	831.5	-
გრანტები	3.9	37.2	37.2	-	-	-	-
სოციალური უზრუნველყოფა	576.1	607.2	607.2	-	736.3	736.3	-
სხვა ხარჯები	1,200.5	865.7	197.6	668.2	1,702.0	655.1	1,047.0
<b>III. საოპერაციო საღდო</b>	<b>13,238.0</b>	<b>9,945.6</b>	<b>1,807.8</b>	<b>8,137.7</b>	<b>9,389.2</b>	<b>- 398.0</b>	<b>9,787.1</b>
<b>IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>10,650.2</b>	<b>8,807.0</b>	<b>1,082.0</b>	<b>7,725.0</b>	<b>14,377.4</b>	<b>2,494.6</b>	<b>11,882.8</b>
ზრდა	10,666.0	9,286.6	1,561.6	7,725.0	14,687.7	2,804.9	11,882.8
კლება	15.7	479.7	479.7	-	310.3	310.3	-
<b>V. მთლიანი საღდო</b>	<b>2,587.8</b>	<b>1,138.6</b>	<b>725.9</b>	<b>412.7</b>	<b>- 4,988.2</b>	<b>- 2,892.5</b>	<b>- 2,095.7</b>
<b>VI. ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>2,529.5</b>	<b>1,080.6</b>	<b>667.9</b>	<b>412.7</b>	<b>- 5,046.3</b>	<b>- 2,950.6</b>	<b>- 2,095.7</b>
კლება	- 2,529.5	- 1,080.6	- 667.9	- 412.7	5,046.3	2,950.6	2,095.7
ვალუტა და დეპოზიტები	- 2,529.5	- 1,080.6	- 667.9	- 412.7	5,046.3	2,950.6	2,095.7
<b>VII. ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>- 58.0</b>	<b>- 58.0</b>	<b>- 58.0</b>	<b>-</b>	<b>- 58.1</b>	<b>- 58.1</b>	<b>-</b>
კლება	58.0	58.0	58.0	-	58.1	58.1	-
საშინაო	58.0	58.0	58.0	-	58.1	58.1	-
სესხები	58.0	58.0	58.0	-	58.1	58.1	-
<b>VIII. ბალანსი</b>	<b>-</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>-</b>	<b>0.0</b>	<b>- 0.0</b>	<b>-</b>

**მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>შემოსულობები</b>	<b>24,619.0</b>	<b>23,103.2</b>	<b>13,843.4</b>	<b>9,259.8</b>	<b>26,073.1</b>	<b>14,695.9</b>	<b>11,377.2</b>
შემოსავლები	24,603.3	22,623.5	13,363.8	9,259.8	25,762.8	14,385.6	11,377.2
არაფინანსური აქტივების კლება	15.7	479.7	479.7	-	310.3	310.3	-
<b>გადასახდელები</b>	<b>22,089.6</b>	<b>22,022.6</b>	<b>13,175.5</b>	<b>8,847.1</b>	<b>31,119.5</b>	<b>17,646.5</b>	<b>13,473.0</b>

ხარჯები	11,365.6	12,678.0	11,555.9	1,122.0	16,373.7	14,783.6	1,590.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	10,666.0	9,286.6	1,561.6	7,725.0	14,687.7	2,804.9	11,882.8
ვალდებულებების კლება	58.0	58.0	58.0	-	58.1	58.1	-
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>2,529.5</b>	<b>1,080.6</b>	<b>667.9</b>	<b>412.7</b>	<b>- 5,046.3</b>	<b>- 2,950.6</b>	<b>- 2,095.7</b>

### მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს **25,762.8** ათასი ლარით:

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>შემოსავლები</b>	<b>24,603.3</b>	<b>22,623.5</b>	<b>13,363.8</b>	<b>9,259.8</b>	<b>25,762.8</b>	<b>14,285.6</b>	<b>11,477.2</b>
გადასახადები	8,062.0	9,778.5	9,778.5	-	11,295.0	11,295.0	-
გრანტები	12,538.0	9,479.8	220.0	9,259.8	11,722.2	245.0	11,477.2
სხვა შემოსავლები	4,003.2	3,365.3	3,365.3		2,745.6	2,745.6	

### მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს **11,295.0** ათასი ლარით:

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>გადასახადები</b>	<b>8,062.0</b>	<b>9,778.5</b>	<b>9,778.5</b>	<b>-</b>	<b>11,295.0</b>	<b>11,295.0</b>	<b>-</b>
დამატებითი ღირებულების გადასახადი	6,777.0	8,471.5	8,471.5		10,110.0	10,110.0	
ქონების გადასახადი	1,285.1	1,307.0	1,307.0	-	1,185.0	1,185.0	-
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	310.7	392.7	392.7		485.0	485.0	
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	296.3	14.8	14.8		-	-	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	22.7	26.8	26.8		10.0	10.0	
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	160.0	222.7	222.7		50.0	50.0	
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	495.4	650.0	650.0		640.0	640.0	

### მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს **11,722.2** ათასი ლარით:

დასახელება	ათას ლარში		
	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
<b>გრანტები</b>	<b>12,538.0</b>	<b>9,479.8</b>	<b>11,722.2</b>
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	259.89	50.00	
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	12,278.1	9,429.8	11,722.2
გათანაბრებითი ტრანსფერი			
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	564.6	220.0	245.0
კაპიტალური ტრანსფერი	4,931.3	5,615.1	5,027.7
სპეციალური ტრანსფერი	6,782.3	3,594.7	6,449.5
მათ შორის :			

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	5,198.6	2,426.6	600.0
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები			-
სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხები	748.0	748.0	748.0
სხვა სახის ტრანსფერები	835.7	420.1	5,101.5

**მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით**  
**ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 16,373.7 ათასი ლარით:**

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>ხარჯები</b>	<b>11,365.3</b>	<b>12,678.0</b>	<b>11,555.9</b>	<b>1,122.0</b>	<b>16,373.7</b>	<b>14,783.6</b>	<b>1,590.1</b>
შრომის ანაზღაურება	4,834.2	5,127.4	5,127.4	-	6,369.8	6,369.8	-
საქონელი და მომსახურება	4,270.0	5,457.1	5,003.2	453.9	6,702.1	6,158.9	543.2
პროცენტები	37.5	30.0	30.0	-	31.9	31.9	-
სუბსიდიები	443.1	553.3	553.3	-	831.5	831.5	-
სოციალური უზრუნველყოფა	573.3	607.2	607.2	-	736.3	736.3	-
სხვა ხარჯები	1,200.5	865.7	197.6	668.2	1,702.0	655.1	1,047.0

**მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 14,377.4 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 14,687.7 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 310,3 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
<b>01 00</b>	<b>მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები</b>	<b>136.3</b>	<b>23.5</b>	<b>4,690.1</b>
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	136.3	23.5	4,690.1
<b>02 00</b>	<b>ინფრასტრუქტურის განვითარება</b>	<b>8,922.5</b>	<b>8,872.9</b>	<b>9,315.8</b>
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	5,653.0	7,233.8	6,639.8
02 02	წყლის სისტემების განვითარება	624.9	59.1	263.6
02 03	გარე განათება	120.4	1.5	199.9
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	-	67.6	172.7
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	3.0	117.5	41.9
02 07	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	-	-	-
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	519.7	415.7	729.8
02 09	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,261.6	243.8	520.0
02 10	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	739.9	734.0	748.0
<b>03 00</b>	<b>დასუფთავება და გარემოს დაცვა</b>	<b>2.0</b>	<b>5.6</b>	<b>12.0</b>
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2.0	5.6	12.0
03 05	მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა	-	-	-
<b>04 00</b>	<b>განათლება</b>	<b>821.3</b>	<b>217.6</b>	<b>345.8</b>
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	114.5	112.0	65.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	-	105.6	280.8
04 03	საბაზო ზოგადი განათლება	706.8		
<b>05 00</b>	<b>კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი</b>	<b>782.2</b>	<b>163.8</b>	<b>324.0</b>

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	756.1	117.6	24.9
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	26.0	46.2	299.1
<b>06 00</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</b>	<b>1.6</b>	<b>3.2</b>	<b>-</b>
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1.6	3.2	-
	<b>სულ არაფინანსური აქტივების ზრდა</b>	<b>10,666.0</b>	<b>9,286.6</b>	<b>14,687.7</b>

*ათას ლარში*

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>15.7</b>	<b>479.7</b>	<b>310.3</b>
ძირითადი აქტივები	-	109.9	110.3
არაწარმოებული აქტივები	15.7	369.8	200.0
მიწა	15.7	369.8	200.0

### მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეადაქციით:

*ათას ლარში*

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
<b>7.1</b>	<b>საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება</b>	<b>2,980.8</b>	<b>3,100.3</b>	<b>9,170.7</b>
7.1.1	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,943.4	3,033.1	9,138.8
7.1.1.1	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,902.9	3,033.1	9,058.8
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	40.5	-	80.0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	37.5	67.2	31.9
<b>7.2</b>	<b>თავდაცვა</b>	<b>128.3</b>	<b>135.6</b>	<b>203.2</b>
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	128.3	135.6	203.2
<b>7.4</b>	<b>ეკონომიკური საქმიანობა</b>	<b>5,736.4</b>	<b>7,442.8</b>	<b>7,102.8</b>
7.4.5	ტრანსპორტი	5,736.4	7,442.8	7,002.8
7.4.5.1	სავაჭრობილო ტრანსპორტი და გზები	5,715.9	7,422.8	6,978.2
7.4.5.5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	20.5	20.0	24.6
7.4.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში			100.0
<b>7.5</b>	<b>გარემოს დაცვა</b>	<b>1,252.9</b>	<b>1,502.6</b>	<b>1,905.8</b>
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	1,252.9	1,502.6	1,905.8
<b>7.6</b>	<b>საბინაო კომუნალური მეურნეობა</b>	<b>4,905.3</b>	<b>3,117.0</b>	<b>4,791.3</b>
7.6.1	ბინათმშენებლობა	1,067.5	736.2	1,361.5
7.6.3	წყალმომარაგება	693.4	146.1	377.6
7.6.4	გარე განათება	463.2	525.7	871.4
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	2,681.1	1,709.0	2,180.8
<b>7.7</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	<b>146.3</b>	<b>164.9</b>	<b>170.0</b>

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	146.3	164.9	170.0
7.8	<b>დასვენება, კულტურა და რელიგია</b>	<b>2,969.6</b>	<b>2,625.5</b>	<b>3,378.4</b>
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1,809.0	1,324.6	1,420.0
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	1,125.6	1,232.4	1,596.7
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	35.0	68.5	361.7
7.9	<b>განათლება</b>	<b>3,255.1</b>	<b>3,172.4</b>	<b>3,556.2</b>
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	2,235.3	2,586.1	2,700.0
7.9 2	ზოგადი განათლება	1,019.7	586.3	856.2
7.9 2 2	საბაზო ზოგადი განათლება	1,019.7	586.3	856.2
7 10	<b>სოციალური დაცვა</b>	<b>656.8</b>	<b>703.5</b>	<b>783.0</b>
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	92.0	116.5	170.0
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	2.0	3.0	3.0
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	52.5	73.4	116.2
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	37.2	42.0	40.2
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	473.1	468.6	453.6
	<b>სულ</b>	<b>22,031.6</b>	<b>21,964.6</b>	<b>31,061.4</b>

### მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს **-4,988.2** ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო **9,389.2** ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	13,238.0	9,945.6	9,389.2
მთლიანი სალდო	2,587.8	1,138.6	- 4,988.2

### მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს **5,046.3** ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>2,529.5</b>	<b>1,080.6</b>	<b>- 5,046.3</b>
კლება	- 2,529.5	- 1,080.6	5,046.3
ვალუტა და დეპოზიტი	- 2,529.5	- 1,080.6	5,046.3

ფინანსური აქტივების კლება **5,046.3** ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე არსებულ თავისუფალ ნაშთს, რომლის გამოყენებაც მოხდება **2022** წლის განმავლობაში.

2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთმა შეადგინა 4231,8 ათ.ლარი. მათ შორის განკარგულებებით გამოყოფილი თანხის ჯამმა შეადგინა 1883,6 ათ ლარი. აქედან 2019 წლის 18 იანვრის N13 განკარგულებით საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის 14,1 ათ.ლარი , 2020 წლის 9 იანვრის N27 განკარგულებით მოსწავლეთა ტრანპორტით უზრუნველსაყოფად დარჩენილი 57,4 და საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის

გაუმჯობესებისათვის 231,3 ლარი. 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულების კაპიტალური ტრანსფერი 214,6 ათ ლარი, 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულების კაპიტალური ტრანსფერის ნაშთი 3,8 ათ ლარი, სოფლის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ტრანსფერი 16,1 ათ ლარი. 2019 წლის 14 მაისის N1063 განკარგულების ნაშთი 16,4 ათ ლარი, 2020 წლის 19 მარტის N574 განკარგულების ნაშთი 46,2 ათ ლარი, 2019 წლის 18 დეკემბრის N2630 განკარგულების ნაშთი 70,0 ათ ლარი, სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების სალიკვიდაციოდ განკარგულებებით გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილმა ნაშთმა შეადგინა 1213,7 ათ ლარი. არსებული ნაშთებიდან მიიმართა 2021 წლის ბიუჯეტში შესაბამისი სამუშაოების დასაფინანსებლად 1163,8 ათ ლარი, ხოლო 138,8 ათ ლარი ექვემდებარება უკან დაბრუნებას. სახაზინო ანგარიშზე არსებული ნაშთიდან 2348,2 ათ ლარი მიიმართა 2021 წლის ბიუჯეტის ხარჯების დასაფინანსებლად.

### მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 11,874.1 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
<b>02 00</b>	<b>ინფრასტრუქტურის განვითარება</b>	<b>11,874.1</b>	<b>7,506.8</b>	<b>7,707.8</b>	<b>7,848.6</b>
<b>02 01</b>	საგზაო ინფრასტრუქტურა	6,978.2	4,587.8	4,687.8	4,787.8
<b>02 01 01</b>	გზების კაპიტალური შეკეთება	6,489.8	4,400.0	4,500.0	4,600.0
<b>02 01 02</b>	გზების მიმდინარე შეკეთება	300.0	150.0	150.0	150.0
<b>02 01 03</b>	საგზაონიშნები და უსაფრთხოება	188.4	37.8	37.8	37.8
<b>02 02</b>	წყლის სისტემების განვითარება	377.6	90.0	95.0	95.0
<b>02 02 01</b>	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	260.6			
<b>02 02 02</b>	წყლის სისტემის ექსპლოატაცია	117.0	90	95	95
<b>02 03</b>	გარე განათება	871.4	700.0	770.0	790.0
<b>02 03 01</b>	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	671.5	600	650	670
<b>02 03 02</b>	კაპიტალური დაზანდებები გარე განათების სფეროში	199.9	100	120	120
<b>02 04</b>	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	1,361.5	300.0	300.0	300.0
<b>02 04 01</b>	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	172.7	100	100	100
<b>02 04 02</b>	საცხოვრებელი და არსაცხოვრებელი შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	1,188.7	300	300	300
<b>02 06</b>	კეთილმოწყობის ღონისძიებები	118.0	175.0	180.0	180.0
<b>02 06 01</b>	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	36.9	30.0	30.0	30.0
<b>02 06 03</b>	სადღესასწაულო ღონისძიებები	30.0	30.0	30.0	30.0
<b>02 06 04</b>	შადრევან-აუზების ექსპლოატაცია, რეაბილიტაცია	10.0	10	10	10
<b>02 06 05</b>	სასაფლაოს მოვლა-პატრონობა	41.1	105	110	110
<b>02 07</b>	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	24.6	26	27	27.8
<b>02 08</b>	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	774.8	780.0	800.0	820.0
<b>02 09</b>	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	520.0			

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
02 10	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	748.0	748	748	748
02 11	ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა	100.0	100	100	100

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების კაპიტალური შეკეთება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		6,489.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების და ხიდების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. კერძოდ ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია პროექტები რომელთა განხორციელება დაწყებულია 2021 წელს და დასრულდება 2022 წელში:</p> <p>ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გრიგოლეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სასტუმრო ლაშთანთან წყლის კოლექტორის მოწყობის სამუშაოები -187777 ლარი</p> <p>ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ.ქვიანში, სოფ.მოედანში და სოფ.ბაღლეფში სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდების რეაბილიტაცია-865119.35 ლარი</p> <p>გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალაქის, გვიმბალაურის, ღრმაღელის, ჩოჩხათის, ლესის და ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში დაზიანებული ხიდების რეაბილიტაცია -331781,45 ლარი</p> <p>დ) შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები- 18942 ლარი</p> <p>ე) ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ.გულიანში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 19976,49 ლარი</p> <p>ვ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია- 279000 ლარი</p> <p>ზ) აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზის რეაბილიტაცია -17191.23 ლარი</p> <p>თ) შრომა, ურეკი, გრიგოლეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (ხელშეკრულება მრავალშესყიდვიანია, ჩვენს მიერ შესარულებელი სამუშაო დასრულებულია, მაგრამ დაკავებულია ხელშეკრულების ღირებულების 2,5 % 8362 ლარი, რომელიც ჩაირიცხება მთლიანად ხელშეკრულების დასრულებისთანავე)</p> <p>ამასთან განხორციელდება ქ.ლანჩხუთში დუმბადის, წმ.ნინოს, წულადის, გოგიჩაიშვილის, მარჯანიშვილის, გვარჯალაძის, ჭავჭავაძის,მდინარაძის, გურიის ქუჩების, კუპრეიშვილის შესახვევის და თავისუფლების I ჩიხის რეაბილიტაცია -2499 995 ლარი, განხორციელდება აკეთის ადმინისტრაციული ერთეულში სოფ.შუხუთიდან სოფ გაგურის ცენტრამდე გზის რეაბილიტაცია -1 368 422 ლარი, ასევე ნიგოითის, გვიმბალაურის, ნინოშვილის, მამათის, აცანის, შუხუთის, ჯურუყვეთის, ნიგვზიანის, ჩოჩხათის, ლესის და სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია-735 465 ლარი.</p> <p>სოფ შუხუთში ჩხაიდის ეზოსთან მოეწყობა ხიდი-29757 ლარი აკეთის ხიდის რეაბილიტაცია-17000 ლარი</p> <p>ასევე სტიქიის შედეგად დაზიანებული არჩეული-ნინოშვილის გზაზე მილხიდისა და ხიდის რეაბილიტაცია და წყალწმინდაში ხიდთან წყალშემკრების მოწყობა და გზის აღდგენა 80003 ლარი.</p> <p>ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია 168 473 ლარი</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ კოკათში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები -30795 ლარი</p> <p>გარდა აღნიშნული პროექტებისა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დამატებითი სახსრებით, აგრეთვე ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის</p>		



	გათვალისწინებით.
მიღწეული შედეგი	მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების მიმდინარე შეკეთება	დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 01 02</b>		<b>300,0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	<b>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური</b>		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენარეაბილიტაციას (ე.წ. ორმული შეკეთება); არასაფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორება და მოხრეშვა-მოშანდაკებას; ზამთრის პერიოდში გზების თოვლისგან გაწმენდას და სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარებას. სამუშაოები შესაძლებელია განხორციელდეს საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც წლის განმავლობაში გამოიკვეთება სამუშაოების შესრულების აუცილებლობა. ასევე, გზის გაწმენდითი სამუშაოები შესრულდება საჭიროების შესაბამისად		
მიღწეული შედეგი	ქ. ლანჩხუთში, ასევე სოფლების დამაკავშირებელი გზებს ჩატარდა მიმდინარე შეკეთება (ორმული სამუშაოები, მოხრეშვა). შესრულებული სამუშაოები უსაფრთხოს გახდის ამ გზებზე გადაადგილებას. 2022 წელს რეაბილიტირებული გზებით საერთო ჯამში ისარგებლებს ადგილობრივი ქალაქ ლანჩხუთის და სოფლების მოსახლეები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 02</b>		<b>377,6</b>
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იკ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის, პრიორიტეტულია მოსახლეობის წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. რიგ შემთხვევებში პროგრამა ასევე მოიცავს, სარწყავი და სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაციას.</p> <p>პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, როგორც ქალაქ ლანჩხუთში, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობდეს წყლის 24 საათიანი მიწოდება;</li> </ul>		

	<p>- მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს წყალს;</p> <p>- წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად.</p> <p>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: წყლის სისტემის ექსპლოატაციის ქვეპროგრამა და წყლის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროგრამა. ექსპლოატაციის ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები, ხოლო რეაბილიტაციის ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერიდან. მიმდინარე ეტაპზე პროგრამის შედგება 1 ქვეპროგრამისაგან - წყლის სისტემის ექსპლოატაციის ქვეპროგრამა.</p> <p>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლოატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.</p>
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს წყლის მიწოდების 24 საათიანი გრაფიკი;</p> <p>წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილია დროულად.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01		260,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალის და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში, ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გვიმბალაურის, ღრმაღელის, სუფსის და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა, რეაბილიტაცია- 260647.67 (სამუშაო დაწყებულია 2019 წელს)</p> <p>გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს სასმელი წყლის მიწოდების 24 საათიანი გრაფიკი;</p> <p>მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებელი წვდომა სასმელ წყალზე;</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის ექსპლუატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		117,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (გარდა ქ. ლანჩხუთისა) 5600 კომლის წყალმომარაგებას, რაც მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის შეუფერხებელ წყლის მიწოდებას.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- დაზიანებული მონაკვეთების აღდგენითი სამუშაოები.</li> <li>- მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა;</li> <li>- დაზიანებული ტუმბოების შეკეთება;</li> </ul>		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობისათვის წყლის შეუფერხებელი მიწოდება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება	დაფინანსება ათას ლარში
	02 03		871,4
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
პროგრამის აღწერა	<p>ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ლანჩხუთში და 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში), გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 75%. გარე განათების სისტემა მოიცავს 1100-ზე მეტ განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს, 8000-ზე მეტ სანათ წერტილს, 30000 გრძივ მეტრზე მეტ სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 230,0 ათასი ლარი ყოველწლიურად) ხმარდება მოხმარებული ელექტროენერჯის ანაზღაურებას.</p> <p>პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია;</li> <li>- კაპიტალური დაზანდებები გარე განათების სფეროში.</li> </ul> <p>გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული ხასიათის, ასევე - მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას (მ.შ. მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას). ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლოატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი.</p> <p>2022 წლის ბიუჯეტიდან ასიგნებები გამოყოფილია მხოლოდ გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ქვეპროგრამაზე. ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, ხოლო კაპიტალური დანახარჯები უმეტესწილად გაიწევა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით.</p>		
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათება, ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01		671,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება.</p> <p>დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ლანჩხუთში, ასევე 15 ადმინისტრაციულ ერთეულში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 75%. (დასახლებულ პუნქტში). ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა;</li> <li>- ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება;</li> <li>- ქსელის დაზიანებული მონაკვეთის აღდგენა, შეკეთება.</li> </ul>		
მოსალოდნელი შედეგი	გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში</b>	დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 03 02</b>		<b>199,9</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის , სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირების მიზნით სპეც ტექნიკის შეძენას, ასევე გარე განათების ქსელზე მიერთების ხარჯებს		
მოსალოდნელი შედეგი	გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია</b>	დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 04 01</b>		<b>172,7</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის , სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში დასრულდა მონაწილეობითი ბიუჯეტირების გამარჯვებული პროექტის შერჩევა. კომპეტენტურმა კომისიამ რამდენიმე დღიანი მუშაობის შემდეგ ორი თემატური პროექტიდან გამარჯვებული მიღებულ ხმათა უმრავლესობით გამოავლინა. გაიმარჯვა პროექტმა "ახალგაზრდული ცენტრი", რომელიც ითვალისწინებს ქალაქ ლანჩხუთში, თავისუფლების ქ. #26-ში ადაპტირებული სივრცის მოწყობას. "ახალგაზრდული ცენტრი" იქნება მულტიფუნქციური, სადაც ახალგაზრდებს შესაძლებლობა ექნებათ განახორციელონ არაფორმალური განათლების ხელშეწყობი აქტივობები, დაესწრონ საინტერესო ტრენინგებს. ცენტრი ხელს შეუწყობს ახალგაზრდებისათვის სხვადასხვა კომპეტენციების განვითარებას, ცნობიერების ამაღლებას, მათი ჩართულობის ზრდას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.</p> <p>წელს მონაწილეობითი ბიუჯეტირების განსახორციელებლად 100 000 (ასი ათასი) ლარი გამოიყო.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. გრიგოლეთში სანაპირო ზოლზე ორი ერთეული სათვალთვალო კომპლექსის მოწყობა 72727 ლარის ღირებულების.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდობისთვის მოწყობილი ადაპტირებული სივრცე, სანაპირო ზოლის დაცვის ხელშეწყობა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია</b>	დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 04 02</b>		<b>1.188.7</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის , სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არსებობს მრავალბინიანი შენობები რომლებიც საჭიროებენ რეაბილიტაციას. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ. ლანჩხუთში არსებული დაზიანებული მრავალბინიანი სახლების სახურავების კაპიტალური შეკეთება-რეაბილიტაცია. კერძოდ, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია :</p> <p>ა) ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გადახურვის სამუშაოები -118245.91 ლარი</p> <p>ბ) სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მეხის დაცემის შედეგად დაზარალებული სახლის აღდგენის სამუშაოები -80301.32 ლარი</p> <p>გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სტიქიის შედეგად დაზიანებული ოჯახებისთვის სახლის სახურავის შესყიდვა -150240 ლარი</p> <p>პროექტები დაწყებულია 2021 წელს და დასრულდება 2022 წელს.</p> <p>ასევე განხორციელდება არასაცხოვრებელი სახლების ქსელზე მიერთება</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება 3 მრავალსართულიანი ბინის (კერძოდ საფო მგელაძის ქუჩაზე, ნინოშვილის ქუჩაზე , და თავისუფლების ქუჩაზე (ორსართულიანი) მრავალბინიანი სახურავის რეაბილიტაცია-163744 ლარი და ასევე ქ. ლანჩხუთში გორგასლის ქუჩაზე მრავალბინიანი სახლის საძირკველის გამაგრება</p>		

მოსალოდნელი შედეგი	ქ. ლანჩხუთში რეაბილიტირებული ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავი დააკმაყოფილებს მოთხოვნებს. საერთო ჯამში რეაბილიტირებული სახლებით ისარგებლებს 250 ბენეფიციარი. მოსახლეობის გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები და ქვეპროგრამის განხორციელების შემდეგ მრავასართულიანი საცხოვრებელი სახლების ექსპლუატაციის ვადა გაიზრდება.
--------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია</b>	დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 06 01</b>		<b>36.9</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფ ქვიანში გენერალ დავით ართმელაძის მემორიალის კეთილმოწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	მემორიალის კეთილმოწყობით პატივი მიეგება ქვეყნისათვის თავდადებულ პირებს		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>სასაფლაოების მოვლა-პატრონობა</b>	დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 06 05</b>		<b>41,1</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქ. ლანჩხუთის ტერიტორიაზე არსებული 6 სასაფლაოს მოვლა-პატრონობა. კერძოდ: აგარაკი N1, აგარაკი N2, ლაშისდელის, მაჩხვარეთის, ქალაქის (ატეკის), ორაგვის დელის სასაფლაოების მოვლითი ღონისძიებები 10800 კვ/მეტრს ფართზე. - დაზიანებული ღობის შეკეთება, შეღებვა; ქვეპროგრამა ფარგლებში ასევე ხორციელდება ქალაქის ლანჩხუთში სკვერებისა და პარკების დაცვა მოთარეშე პირუტყვისაგან. - ასევე ხორციელდება სკვერებისა და პარკების როგორც შეწამვლითი და გაცელვითი სამუშაოები.		
მოსალოდნელი შედეგი	მოვლილი სასაფლაოები, სკვერები და პარკები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება</b>	დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 07</b>		<b>24,6</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის მიერ იჯარით არის გაცემული სამარშუტო ხაზები, რომელზეც ქ.ლანჩხუთიდან სოფლების მიმართულებით ხორციელდება ტრანსპორტით გადაადგილება.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტრანსპორტით შეუფერხებელი გადაადგილება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა</b>	დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 08</b>		<b>774.8</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტისას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.</p> <p>პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადდება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდერტებს)</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი <b>02 09</b>	<b>სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია</b>	დაფინანსება ათას ლარში <b>520.0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის , სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არის ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობის აუცილებლობა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული ნაპირსამაგრების რეაბილიტაცია და ახალი ნაპირსამაგრების მოწყობა.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების კერძოდ აკეთი-გაგურის, ლესა ჭინათის, სოფ.ჯუნმერეს და სოფ ომფარეთში ნაპირსამაგრის მოწყობა-რეაბილიტაცია</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის ფარგლებში მოწყობილი ნაპირსამაგრები დააკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნას.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი <b>02 10</b>	<b>სოფლის პროგრამის მხარდაჭერა</b>	დაფინანსება ათას ლარში <b>748,0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის , სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ინფრასტრუქტურული სამუშაოები , რომელიც განხილული და შეჯერებული იქნება თვით მოსახლეობასთან</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის ფარგლებში მიიღწევა ყველა ადმინისტრაციული ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი <b>02 11</b>	<b>ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა</b>	დაფინანსება ათას ლარში <b>100,0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის , სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა მოიცავს განხორციელების შემდეგ ეტაპებს:</p> <p>ა) ბიზნეს იდეების კონკურსის გამოცხადება;</p> <p>ბ) ბიზნეს იდეების მიღება;</p> <p>გ) ბიზნეს იდეების გადარჩევა;</p> <p>დ) ბენეფიციარების გადამზადება;</p> <p>ე) ბიზნეს გეგმების წარდგენა;</p> <p>ვ) ბიზნეს გეგმების შეფასება;</p> <p>ზ) გამარჯვებული პროექტების გამოცხადება;</p> <p>თ) გამარჯვებული პროექტების დაფინანსება;</p> <p>ი) გამარჯვებული პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგი;</p> <p>კ) პროგრამის შეფასება.</p> <p>პროგრამის მიზნებს წარმოადგენს:</p> <p>ა) სოფლის მეურნეობის (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის) მხარდაჭერა;</p> <p>ბ) აგროტურისტული პოტენციალის განვითარება;</p> <p>გ) ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გაძლიერების ხელშეწყობა, მათ შორის სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა;</p> <p>დ) დასაქმების ხელშეწყობა.</p>
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის ფარგლებში მიიღწევა დაახლოებით 15-მდე ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა

### მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3,556.2 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

<i>ათას ლარში</i>					
პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	3,556.2	3,531.0	3,582.0	3,635.0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2,700.0	2800	2850	2900
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	-			
04 03	განათლების ღონისძიებები	32.2	31	32	35
04 04	განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა	280.8	150	150	150
04 05	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტი უზრუნველყოფა	543.2	550	550	550

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარში
	04 01		2700,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ლანჩხუთის</p>		

	<p>მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 21 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1050-ზე მეტი ბავშვი. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 100 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია:</p> <p>ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;</p> <p>ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკურ რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> <p>ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;</p> <p>ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკურ რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> <p>ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა;</p> <p>ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.</p> <p>ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები. ა(ა)იპ ში დასაქმებული პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით.</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	განათლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	04 03		32,2
<p>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>		<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური</p>	
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>		<p>პროგრამა ითვალისწინებს:</p> <p>სხვადასხვა საგანმანათლებლო, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსებას;</p> <p>ერთიან ეროვნულ და სამაგისტრო გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მფლობელთა წახალისებას ფულადი ჯილდოთი;</p> <p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ოქროს და ვერცხლის მედალოსანთა წახალისებას ფულადი ჯილდოთი და ფასიანი საჩუქრით;</p> <p>სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, შემეცნებით, პროფესიულ, სადღესასწაულო დღეებზე, წარმატებული მასწავლებლების, მოსწავლე-ახალგაზრდებისა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე ღვაწლმოსილი ადამიანების წახალისებას ფულადი ჯილდოთი, სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით.</p> <p>მომართვის საფუძველზე სხვადასხვა ინტელექტუალურ-შემეცნებით და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეების ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას;</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <p>საგანმანათლებლო სფეროს განვითარების ხელშეწყობა და იქ მოღვაწე წარმატებული ადამიანების წახალისება და მათი მოტივაციის გაზრდა.</p>	
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>		<p>პროგრამის განხორციელების შედეგად დაფინანსდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტი, შესაძლებელი იქნება საგანმანათლებლო ღონისძიებებზე მონაწილეების ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა, წარმატებული მასწავლებლების, მოსწავლეებისა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე ღვაწლმოსილი ადამიანების წახალისება.</p>	



პროგრამის დასახელება	კოდი	<b>განათლების ობიექტების რეაბილიტაცია , მშენებლობა</b>	დაფინანსება ათას ლარში
	<b>04 04</b>		<b>280,8</b>
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის , სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხანჯირის სკოლის ეზოში ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები-102000 ლარი ასევე განხორციელდება ხაჯალიის საჯარო სკოლის სახურავის და ნიგოთის საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის სახურავის რეაბილიტაცია 178 799 ლარი		
მოსალოდნელი შედეგი	სოფელ ჯიხანჯირის სკოლაში მოწესრიგებული იქნება წყლის სისტემები,		

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა</b>	დაფინანსება ათას ლარში
	<b>04 05</b>		<b>543,2</b>
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის , ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის, განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას. პროგრამაში ჩართულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 24 საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომელთა სკოლებში ფიზიკური გამოცხადება პრობლემას წარმოადგენს და რომლებიც აკმაყოფილებენ კანონმდებლობით დადგენილ სავალდებულო კრიტერიუმებს. პროგრამის მიზანია , ხელი შეუწყოს ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის.		
მოსალოდნელი შედეგი	შესაძლებელი იქნება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 1800 მდე მოსწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს მათი განათლების ხარისხის გაზრდას.		

### მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **3,378.4** ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

<i>ათას ლარში</i>					
პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
<b>05 00</b>	<b>კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი</b>	<b>3,378.4</b>	<b>2,834.0</b>	<b>2,866.0</b>	<b>2,909.0</b>
<b>05 01</b>	სპორტის სფეროს განვითარება	1,420.0	1,300.0	1,332.0	1,365.0
<b>05 01 01</b>	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1,381.5	1,160.0	1,190.0	1,220.0
<b>05 01 01 01</b>	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა	516.4	520.0	525.0	530.0
<b>05 01 01 03</b>	სტადიონის ფუნქციონირება	190.1	185.0	185.0	185.0
<b>05 01 01 04</b>	ქალთა სპორტის განვითარება	175.0	155.0	160.0	165.0
<b>05 01 01 05</b>	საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა	300.0	300.0	320.0	340.0
<b>05 01 01 06</b>	საფეხბურთო კლუბის ხელშეწყობა	200.0			

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
05 01 02	სპორტული ღონისძიებები	38.5	40.0	42.0	45.0
05 01 03	კაპიტალური დაზანდებები სპორტის სფეროში	-	100.0	100.0	100.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1,941.4	1,520.0	1,520.0	1,530.0
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1,268.0	1,200.0	1,200.0	1,210.0
05 02 01 01	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	865.0	870.0	870.0	880.0
05 02 01 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	403.0	330.0	330.0	330.0
05 02 02	კულტურის ღონისძიებები	32.6	30.0	30.0	30.0
05 02 03	კაპიტალური დაზანდებები კულტურის სფეროში	279.1	250.0	250.0	250.0
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	361.7	40.0	40.0	40.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	17.0	14.0	14.0	14.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 01		516,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია 5-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკური განვითარება სპორტული ცენტრი აერთიანებს 10 სპორტულ მიმართულებას, ესენია: თავისუფალი ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, რაგბი, ცურვა, მაგიდის ჩოგბურთი, კარატე, ჭადრაკი, კალათბურთი და სპორტული ტანვარჯიში. სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 380 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-4 ჯერ. სპორტულ ცენტრში დასაქმებულია ჯამში 72 ადამიანი, მათ შორის, 25 ტექნიკური და 47 ადმინისტრაციული პერსონალი და მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადაიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას დებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;</li> <li>- მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის;</li> <li>- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.</li> </ul>		
